



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის დს-შ/3-13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ვასილ ქარსელაძე (სტუდენტი)

ფაქტები

2009 წლის 15 მაისს ადვოკატმა ნ. კ.-მ, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის „ი-ს“ თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება მისი კლიენტის - ხ. კ.-ის საარბიტრაჟო პრეტენზიის თაობაზე. 2009 წლის 31 ივლისს ხ.კ.-მ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს 2009 წლის 2 ივნისს რეგისტრირებული რწმუნებულების გაუქმების მოთხოვნით. ხოლო 2010 წლის 27 მაისს ნ.კ.-ს მიანიჭა რწმუნებულება 2 კვირის ვადით, ისევე როგორც 2010 წლის 1 ივლისს - 2 თვის ვადით. ადვოკატი იცავდა ხ. კ.-ის ინტერესებს ერთ-ერთ სასამართლო დავაში და დაეხმარა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში. 2011 წლის 15 ივნისიდან ადვოკატი წარმოადგენდა საკუთარი მეუღლის ინტერესებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ხ. კ.-ის წინააღმდეგ, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

პროცესუალური ისტორია

ხ.კ. საჩივრის საფუძველზე ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა. კომისიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებები, რომ ადვოკატმა, როგორც საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარემ, მიიღო გადაწყვეტილება ხ. კ.-ს პრეტენზიის თაობაზე; ხ. კ.-მ რამდენჯერმე მიანიჭა და გააუქმა რწმუნებულება ადვოკატ ნ. კ.-ს; ერთ-ერთ სასამართლო დავაში ადვოკატი ნ. კ. დაეხმარა ხ. კ.-ს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში; ხოლო ამ მოქმედებების შემდეგ ადვოკატი ნ. კ. წარმოადგენდა საკუთარი მეუღლის ინტერესებს ხ. კ.-ს წინააღმდეგ სასამართლოში, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ადვოკატი ცნობილ იქნა ბრალეულად ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 2, 8.3 და 8.2 მუხლების დარღვევაში და დისციპლინურ სახდელად განესაზღვრა საადვოკატო უფლებამოსილების ჩამორთმევა 6 თვის ვადით. ადვოკატმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში და მიუთითა, რომ ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება მიმდინარეობა მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევებით, რამაც შელახა მისი ადამიანური და პროფესიული უფლებები.

სამართლებრივი შეფასება

სადისციპლინო პალატამ სრულად გაიზიარა ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები, ასევე სამართლებრივი დასაბუთება და დაადგინა, რომ ადვოკატმა უფლებელყო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც კრძალავს ადვოკატის პროფესიული ფუნქციების შესრულებას იმ საქმეზე, სადაც მან უკვე მიიღო მონაწილეობა, როგორც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულმა პირმა. საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენამდე ადვოკატმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ხ. კ.-ს, ამავდროულად მის სახელზე გაიცა რწმუნებულება. აღსანიშნავია, რომ რწმუნებულება გაიცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღეს. სადისციპლინო პალატამ გაიზიარა ეთიკის კომისიის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ საარბიტრაჟო

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c048023217.pdf/5c4c048023217.pdf>

გადაწყვეტილების მიღება და სააღსრულებო ფურცლის გაცემა ერთიანი პროცესია, რაც მიზნად ისახავს კონკრეტული პრეტენდენტისათვის სამართლებრივი შედეგის მიღებას - გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღესვე მინდობილობის მიღებით ნ. კ.-მა გამოხატა თანხმობა, ადვოკატის სტატუსით მიეღო მონაწილეობა იმავე საქმეზე, სადაც როგორც არბიტრს, უკვე შესრულებული ჰქონდა პროფესიული ფუნქცია, რითიც დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის ნორმატიული შინაარსი.

სადისციპლინო პალატამ გაიზიარა ეთიკის კომისიის სამართლებრივი შეფასება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებითაც. პალატის შეფასებით, ადვოკატმა თავდაპირველად სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ხ.კ.-ს, რაც გამოსახლების თაობაზე განცხადების დაწერასა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით მიმართვის შედგენაში გამოიხატა, რაც თავის მხრივ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად საადვოკატო საქმიანობაა. ხოლო ხ. კ.-თან ურთიერთობის დასრულების შემდეგ კი ადვოკატი გახდა საკუთარი მეუღლის წარმომადგენელი, ამავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარის ადვოკატი, ყოფილი კლიენტის ხ. კ.-ის წინააღმდეგ.

სადისციპლინო პალატამ ამ შემთხვევაშიც გაიზიარა ეთიკის კომისიის განმარტება, რომ კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს კვლავ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები ყოფილი კლიენტის მიმართ, როგორცაა კონფინენციალურობისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებათა დაცვა. ასევე, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან არსებითად სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში.

სადისციპლინო პალატამ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და დაადასტურა, რომ ეთიკის კომისიაში საქმის წარმოება წარიმართა პროცედურული დარღვევებით, კერძოდ ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით განსაზღვრული ვადის დარღვევით, თუმცა ამას არსებითი გავლენა არ მოუხდენია სამართლებრივ შედეგზე და იგი ვერ გახდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ უცვლელად დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.